C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 08)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა სამედიცინო დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი
მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო
პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა
პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები
პროგრამით მოსარგებლეები არიან C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეები.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსება
პროგრამა ითვალისწინებს C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების ,,C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას.
C ჰეპატიტის კვლევების სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება არა უმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება ან/და წერილი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისგან;

ბ) განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ქსეროასლი (იძულებით გადაადგილებული/ დევნილის მომართვის შემთხვევაში);

დ) დევნილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არის რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული/ დევნილის მომართვის შემთხვევაში);

ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV – 100/ა);

ვ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული კალკულაცია ან/და სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება

1. სოციალური დახმარების მისაღებად, ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

3. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების ვადად განისაზღვრება 30 კალენდარული დღე.

4. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გადმოგზავნილ წერილში დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას სრულყოფილად და მითითებული იყოს პროგრამის სახელწოდება.

მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ადმინისტრაციულ დაპირებას მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს განმცხადებელს ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ხარვეზის შესასწორებლად.

2. გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე შესაბამისი დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია, ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, აცნობებს სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის შესწორების შესახებ.

მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) თანხის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექტრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი
პროგრამაში ჩართული C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა რაოდენობა.

მუხლი 12. პროგრამის შედეგი
მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.